



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახალქალაქის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

N 11 14

28/05/2020

***„საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (ფიზიკური პირების) და იურიდიული პირების დასუფთავების მოსაკრებლისგან გათავისუფლების შესახებ“***

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.დ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-4 მუხლისა და „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის №220 დადგენილების შესაბამისად

1.საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ფიზიკური პირები) სრულად გათავისუფლდეს 2020 წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან.

2.საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირები, რომლებსაც საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო, შეეზღუდათ საქმიანობის განხორციელების უფლება, სრულად განთავისუფლდნენ 2020 წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან.

3.ფიზიკურ პირებს და ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ იურიდიულ პირებს, რომლებსაც უკვე გადახდილი აქვთ 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვეების დასუფთავების მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ პირად სააბონენტო ბარათზე, გარდა ამ დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.ფიზიკურ და ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ სუბსიდირებაზე.

5. ფიზიკურმა და ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა იურიდიულმა პირებმა, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სუბსიდირებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით უნდა მიმართონ ა(ა)იპ „ახალქალაქის სერვისცენტრის“ ადმინისტრაციას.

6.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ნაირი ირიციან

საკრებულოს თავმჯდომარე

